სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი
360.160.000.11.103.005.524

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

ბრძანება №98

2002 წლის 4 ოქტომბერი

ქ. თბილისი

სახელმწიფო ტყის ფონდის განსაზღვრულ ტერიტორიაზე ცხოველთა სამყაროს ობიექტების აღრიცხვის მეთოდებისა და წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ტყის კოდექსის საქართველოს კანონის (1999 წელი, 22 ივნისი, №2124–IIს) 86-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 116-ე მუხლის „გ.ბ“ პუნქტის საფუძველზე, ამავე მუხლებით დადგენილი სამართლებლივი ნორმების შესრულების მიზნით, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს თანდართული დებულება „სახელმწიფო ტყის ფონდის განსაზღვრულ ტერიტორიაზე ცხოველთა სამყაროს ობიექტების აღრიცხვის მეთოდებისა და წესის შესახებ”.
2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ნინო ჩხობაძე

დებულება სახელმწიფო ტყის ფონდის განსაზღვრულ ტერიტორიაზე ცხოველთა სამყაროს ობიექტების აღრიცხვის მეთოდებისა და წესის შესახებ

თავი I
ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც და რომლის შესასრულებლადაც გამოიცა დებულება

ეს დებულება მომზადებულია „ცხოველთა სამყაროს შესახებ” საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს კანონის საქართველოს ტყის კოდექსის 86-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 116-ე მუხლის „გ.ბ“ პუნქტის საფუძველზე, ამავე კანონების მოთხოვნათა შესრულების მიზნით.

მუხლი 2. დებულების რეგულირების საგანი

ეს დებულება არეგულირებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ფიზიკურ და იურიდიულ (საკუთრებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის განურჩევლად) პირებს შორის სახელმწიფო ტყის ფონდის განსაზღვრულ ტერიტორიაზე ცხოველთა სამყაროს ობიექტების აღრიცხვის სფეროში.

მუხლი 3. დებულების მოქმედება სივრცეში.

ამ დებულების მოქმედება ვრცელდება საქართველოს სახელმწიფო ტყის ფონდზე (სახელმწიფო სამეურნეო ტყის ფონდზე, ადგილობრივი ტყის ფონდის მიწებზე, აგრეთვე სახელმწიფო ტყეში და სახელმწიფო ტყის ფონდის სატყეო, სასოფლო-სამეურნეო, სპეციალური დანიშნულებისა და გამოუყენებელ მიწებზე, დაცული ტერიტორიების ტყის ფონდის იმ მიწებზე, სადაც მათი

კატეგორიის, დაცვის რეჟიმისა და ფუქციონალურ-ტერიტორიული ზონირების გათავლისწინებით დასაშვებია სამონადირეო მეურნეობის მოწყობა), სადაც სამონადირეო მეურნეობის შექმნისათვის სანადირო სავარგულების გამოყოფის მიზნით ჩასატარებელია ცხოველთა სამყაროს ობიექტების აღრიცხვა.

მუხლი 4. კანონმდებლობის სისტემა სახელმწიფო ტყის ფონდის განსაზღვრულ ტერიტორიაზე ცხოველთა სამყაროს ობიექტების აღრიცხვის სფეროში

კანონმდებლობის სისტემა სახელმწიფო ტყის ფონდის განსაზღვრულ ტერიტორიაზე ცხოველთა სამყაროს ობიექტების აღრიცხვის მეთოდებისა და წესის სფეროში შედგება საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონების „გარემოს დაცვის შესახებ", „გარემოსდაცვითი ნებართვების შესახებ", საქართველოს ტყის კოდექსი, „ცხოველთა სამყაროს შესახებ", აგრეთვე საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისაგან.

მუხლი 5. დებულების მიზნები და ამოცანები

1. ამ დებულების მიზანს წარმოადგენს საქართველოს ტყის კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით განსაზღვრული ორგანოების (ისევე, როგორც „ცხოველთა სამყაროს შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად – საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს) ინიციატივით სამონადირეო სავარგულების გამოყოფის მიზნით სახელმწიფო ტყის ფონდის განსაზღვრულ ტერიტორიაზე ან ამ ტერიტორიის ცალკეულ ნაწილებში ცხოველთა სამყაროს ობიექტთა აღრიცხვის მეთოდების წესის დადგენა.

2. ამ დებულების ამოცანას წარმოადგენს ცხოველთა სამყაროს ობიექტების აღრიცხვის მეთოდებისა და წესის დადგენის სფეროში სამართლებრივი ურთიერთობების დარეგულირება.

თავი II
კომპეტენციათა გამიჯვნა სახელმწიფო ტყის ფონდის განსაზღვრულ ტერიტორიაზე ცხოველთა სამყაროს ობიექტების აღრიცხვის მეთოდებსა და წესთან დაკავშირებულ ურთიერთობათა მოწესრიგების სფეროში

მუხლი 6. კომპეტენციები სახელმწიფო ტყის ფონდის განსაზღვრულ ტერიტორიაზე ცხოველთა სამყაროს ობიექტების აღრიცხვის მეთოდებსა და წესთან დაკავშირებულ ურთიერთობათა მოწესრიგების სფეროში

სახელმწიფო ტყის ფონდის განსაზღვრულ ტერიტორიაზე ცხოველთა სამყაროს ობიექტების აღრიცხვის მეთოდებისა და წესის შემუშავების კომპეტენცია საქართველოს სატყეო მეურნეობისა და საქართველოს დაცული ტერიტორიების, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სახელმწიფო დეპარტამენტებთან შეთანხმებით ეკუთვნის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს.

თავი III
ძირითადი სადებულებო მუხლები

მუხლი 7. უფლებები და ვალდებულებები

1. სამონადირეო სავარგულების შერჩევის მიზნით საქართველოს ტყის კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით განსაზღვრულ ორგანოებს (ისევე, როგორც საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს) უფლება აქვთ აღრიცხონ ცხოველები თავიანთი სამოქმედო ტერიტორიის იმ ფართობებზე ან მათ ცალკეულ ნაწილებზე, სადაც „ცხოველთა სამყაროს შესახებ"

საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ ჯერ ჩატარებული არ არის სამონადირეო მეურნეობის შესაქმნელად და ამ მიზნით სამონადირეო სავარგულების გამოყოფისათვის საჭირო წინასწარი ეკოლოგიური, ბიოლოგიურ-ეკონომიკური გამოკვლევის, ცხოველთა სამყაროს ობიექტთა სრულფასოვანი აღრიცხვისა და მდგომარეობის დაფიქსირების, გარეულ ცხოველთა აღწარმოებისა და მოპოვების ნორმების დადგენისა და სამონადირეო მეურნეობის შექმნაზე დასკვნის გაცემისათვის საჭირო სამუშაოები.

2. საქართველოს ტყის კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით განსაზღვრული ორგანოები ცხოველთა სამყაროს ობიექტების აღრიცხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციას (შედეგებს) დასკვნისათვის წარუდგენენ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს. ინფორმაციის წარდგენა ხდება წერილობითი სახით. საჭიროების შემთხვევაში ინფორმაცია შეიძლება წარდგენილ იქნეს ელექტრონული და კომპიუტერული საშუალებებითაც.

3. იმ ტერიტორიებზე, რომლებზეც ამ დებულების შესაბამისად ჩატარდა ცხოველთა სამყაროს ობიექტების აღრიცხვა, საქართველოს ტყის კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით განსაზღვრული ორგანოები შემდგომ საქმიანობას სამონადირეო მეურნეობის შექმნის მიზნით ახორციელებენ მხოლოდ „ცხოველთა სამყაროს შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესითა და პროცედურით.

მუხლი 8. ცხოველთა სამყაროს ობიექტების აღრიცხვის მეთოდები

1. სამონადირეო მეურნეობის შესაქმნელად სახელმწიფო ტყის ფონდის განსაზღვრულ ტერიტორიაზე ან მის ცალკეულ ნაწილზე შერჩეულ სავარგულში აღრიცხვას ექვემდებარება ცხოველთა სამყაროს ყველა სახეობა, მიუხედავად იმისა:

ა) არიან თუ არა დაცულნი საქართველოს კანონმდებლობით (შეტანილი არიან ან არ არიან საქართველოს წითელ წიგნსა და წითელ ნუსხაში, ან დაცულნი არიან ან არ არიან სხვა საკანონმდებლო აქტებით);

ბ) არიან თუ არა დაცულნი საერთაშორისო კონვენციებით, შეთანხმებებით ან სხვა საერთაშორისო აქტებით;

გ) აქვთ თუ არა კვებითი ან სხვა ღირებულება;

დ) წარმოადგენენ თუ არა სატროფეო ფასეულობას.

2. სამონადირეო მეურნეობის შესაქმნელად შერჩეული სავარგულის აღრიცხვის ჩასატარებლად გამოყენებული უნდა იყოს აღრიცხვის შემდეგი მეთოდები:

ა) თუ აღსაღრიცხველი ცხოველის პოპულაციისათვის აუცილებლობას არ წარმოადგენს ან შეუძლებელია ზუსტი აღრიცხვის წარმოება, გამოყენებულ უნდა იქნეს სიმჭიდროვის ინდექსაციის მეთოდი;

ბ) თუ აღსაღრიცხველი ცხოველის პოპულაციაში წარმოებს სელექციური მოპოვება, გამოყენებული უნდა იყოს კელკერის მეთოდი;

გ) თუ აღსაღრიცხველი ცხოველის პოპულაციაში წარმოებს არასელექციური მოპოვება, გამოყენებული უნდა იყოს ლესლის ან დელურის მეთოდი;

დ) თუ პოპულაცია არ წარმოადგენს მოპოვების ობიექტს და ამავე დროს პოპულაციის სიმჭიდროვე დაბალია, გამოყენებული უნდა იყოს აღრიცხვა ფიქსირებული სიგანის ტრანსექტებზე;

ე) თუ პოპულაცია არ წარმოადგენს მოპოვების ობიექტს და ამავე დროს პოპულაციის სიმჭიდროვე მაღალია, გამოყენებული უნდა იყოს აღრიცხვა არაფიქსირებული სიგანის ტრანსექტებზე.

3. „ცხოველთა სამყაროს შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი დასკვნის მომზადების რეგლამენტი განისაზღვრება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 30.05.02 წლის №67 ბრძანებით „სამონადირეო მეურნეობის შესაქმნელად სამონადირეო სავარგულების გამოყოფისათვის საჭირო წინასწარი ეკოლოგიური, ბიოლოგიურ-ეკონომიკური გამოკვლევის, ცხოველთა სამყაროს ობიექტთა სრულფასოვანი აღრიცხვისა და მდგომარეობის დაფიქსირების, გარეულ ცხოველთა აღწარმოებისა და მოპოვების ნორმების დადგენისა და სამონადირეო მეურნეობის შექმნაზე დასკვნის გაცემის პროცედურის შესახებ" დებულების დამტკიცების თაობაზე" (რეგისტრაცია 03.06.02 №360.160.000.111.03.005.327).

4. აღრიცხვის შედეგების დამუშავებისათვის გამოყენებული უნდა იყოს კომპიუტრული პროგრამები: Populus, Vortex, Distance.

5. აღრიცხვისა და შედეგების დამუშავებისათვის შესაძლებელია გამოყენებული იყოს ის მეთოდები, რომლებიც ცხოველთა სამყაროს აღრიცხვის სამეცნიერო წრეებში აღიარებულია როგორც ამ მუხლის მეორე პუნქტში აღნიშნული მეთოდების გაუმჯობესებული ან/და შემცვლელი თანამედროვე ვარიანტები.

მუხლი 9. ცხოველთა სამყაროს ობიექტების აღრიცხვის წესი

1. საექსპერტო ჯგუფის შემადგენლობას, რომელიც სამონადირეო მეურნეობების შექმნის მიზნით შერჩეულ სავარგულში ატარებს ამ სავარგულების ეკოლოგიურ, ბიოლოგიურ-ეკონომიკურ გამოკვლევას, ცხოველთა სამყაროს ობიექტების აღრიცხვასა და მდგომარეობის დაფიქსირებას, ადგენს ცხოველთა აღწარმოებისა და მოპოვების ნორმებს და ამზადებს შესაბამის დასკვნას, ამტკიცებს საქართველოს ტყის კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით განსაზღვრული ორგანოები.

2. თუ ცხოველთა სამყაროს ობიექტების აღრიცხვისათვის შერჩეული სამონადირეო სავარგულები მოიცავენ სახელმწიფო ტყის ფონდის გარდა საკუთრების სხვა ფორმით არსებულ ტერიტორიასაც და არის მათი მესაკუთრის თანხმობა ამ სავარგულების წინასწარი გამოყოფის შესახებ, ცხოველთა სამყაროს ობიექტების აღრიცხვა ამ ტერიტორიაზე ტარდება ამ დებულებაში მოცემული მეთოდებითა და წესით.

3. საქართველოს ტყის კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით განსაზღვრული ორგანოების ინიციატივით ჩატარებული აღრიცხვის შედეგები წარმოადგენს სამონადირეო მეურნეობის შექმნისათვის სავარგულის შესარჩევად საკითხის განხილვის დამატებით საფუძველს.

4. დასკვნისათვის წარმოდგენილ ცხოველთა სამყაროს ობიექტების აღრიცხვის მასალებში მოცემული უნდა იყოს შემდეგი მონაცემები:

ა) საკვლევი ტერიტორიის მდებარეობა და ფართობი;

ბ) აღრიცხვის ჩატარების დრო;

გ) აღრიცხვის ჩატარების მეთოდები;

დ) ბიოტოპების მოკლე დახასიათება;

ე) სავარგულების ეკოლოგიური მდგომარეობა;

ვ) აღრიცხულ ცხოველთა სახეობების ჩამონათვალი;

ზ) ნადირობის ობიექტების რიცხოვნობა, სიმჭიდროვე, მოპოვების კვოტები;

თ) საჭირო ბიოტექნიკური ღონისძიებები და კაპიტალდაბანდებების სავარაუდო მოცულობა;

ი) სავარგულების ზონირება შიდასამეურნეო დანიშნულების მიხედვით.

5. სავარგულის აღრიცხვისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს მონაცემები ამ ტერიტორიების გარეულ ცხოველთა სახეობების ჯგუფების მიხედვით სახელმწიფო აღრიცხვისა და სახელმწიფო

კადასტრის მონაცემები (თუ ასეთი არსებობს), აგრეთვე ცხოველთა სამყაროს სპეციალური სარგებლობის ობიექტების ჩამონათვალის განსაზღვრასთან დაკავშირებული მონაცემები.

მუხლი 10. ცხოველთა სამყაროს ობიექტების აღრიცხვის დაფინანსებისა და საექსპერტო ჯგუფის სამუშაოს ანაზღაურების საკითხები

1. სამონადირეო სავარგულების შერჩევის მიზნით საქართველოს ტყის კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებით უფლებამოსილ ორგანოებს თავიანთი სამოქმედო ტერიტორიის იმ ფართობებზე ან მათ ცალკეულ ნაწილებზე, ცხოველთა სამყაროს ობიექტების აღრიცხვისათვის უფლება აქვთ გამოიყენონ სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების სახსრები, ასევე ფიზიკურ და კერძო სამართლის იურიდიულ პირთა კერძო დაფინანსებაც.

2. კერძო დაფინანსება შეიძლება ეკუთვნოდეთ სამონადირეო მეურნეობის შექმნის (გენერალური) ან ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობის (გენერალური ან ერთჯერადი) ლიცენზიის მიღების მსურველ ინვესტორებს. ასეთ შემთხვევაში ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობის ლიცენზიის მიღების მსურველ ინვესტორს (პრეტენდეტს) ენიჭება უპირატესობა ლიცენზიის მიღების დროს.

3. თუ ინვენსტორმა (პრეტენდეტმა) ვერ მიიღო ლიცენზია, გაწეულ ხარჯებს მას აუნაზღაურებს ის ინვენსტორი (პრეტენდენტი), რომელმაც მიიღო ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობის ლიცენზია.

თავი IV
დასკვნითი დებულებები

მუხლი 11. დებულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა

დებულებაში ცვლილებები და/ან დამატებები შეიტანება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 12. პასუხისმგებლობა დებულების მოთხოვნათა დარღვევისათვის

ამ დებულების მოთხოვნათა დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.